

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2023

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გდგ“-ს მენეჯმენტს.

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გდგ“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საკმევანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასი სტანდარტები“).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსტების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსის-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2023 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 27 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან

ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


კომპანიის აქციონერებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

27 სექტემბერი 2024

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე (SARAS-A-129107)

RSM Georgia



შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	11	226,152	301,536
ძირითადი საშუალებები	12	720,385	11,006
არამატერიალური აქტივები		5,335	6,094
სულ გრძელვადიანი აქტივები		951,872	318,636
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	2,493,445	4,188,387
მარაგები	14	50,729,978	24,818,905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	25,678,123	10,208,258
სხვა აქტივები		54,312	32,184
საგადასახადო აქტივი	16	251,423	74,202
სულ მიმდინარე აქტივები		79,207,281	39,321,936
სულ აქტივები		80,159,153	39,640,572
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		11,445,030	6,122,400
სულ კაპიტალი		11,446,030	6,123,400
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	18	27,941,080	17,428,904
საიჯარო ვალდებულება	19	137,963	205,021
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,079,043	17,633,925
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	18	21,430,001	-
საიჯარო ვალდებულება	19	74,838	68,720
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	19,129,241	15,814,527
სულ მიმდინარე ვალდებულებები		40,634,080	15,883,247
სულ ვალდებულებები		68,713,123	33,517,172
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		80,159,153	39,640,572

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან ლანდია

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	3	117,544,121	102,047,002
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	4	(104,139,373)	(97,282,517)
საერთო მოგება		13,404,748	4,764,485
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	5	(8,064,828)	(3,354,441)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,324,428)	(1,419,954)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		(20,702)	(17,384)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		3,994,790	(27,294)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	7	4,840,448	2,289,384
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	9	(877,493)	907,161
ფინანსური ხარჯები, წმინდა	8	(2,185,115)	(1,381,814)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		5,772,630	1,787,437
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(608)
წლის მოგება		5,772,630	1,786,829
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,772,630	1,786,829

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან ლანდია

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000	7,110,843	7,111,843
წლის მოგება	-	1,786,829	1,786,829
განაწილებული დივიდენდი	-	(2,775,272)	(2,775,272)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000	6,122,400	6,123,400
წლის მოგება	-	5,772,630	5,772,630
განაწილებული დივიდენდი	-	(450,000)	(450,000)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000	11,445,030	11,446,030

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან ლანდია

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება / (ზარალი)		
კორექტირებები:	5,772,630	1,787,437
ცვეთა და ამორტიზაცია		
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	89,900	89,175
საპროცენტო ხარჯები	20,702	17,384
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებაზე	2,160,907	1,381,814
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	24,208	-
	877,493	(907,161)
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:		
ცვლილებები მარაგებში	(25,911,073)	(6,619,612)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	(15,342,024)	837,726
ცვლილებებისაკონტრაქტო და სხვა აქტივებში	(22,021)	(33,191)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში	3,095,079	3,207,496
ცვლილებები გადასახადებში	(177,221)	16,143
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(29,411,419)	(222,789)
გადახდილი პროცენტი	(902,547)	(489,100)
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე	(24,208)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(608)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(30,338,174)	(712,497)
არამატერიალური საშუალების შეძენა	(5,898)	(5,914)
მიღებული პროცენტები	-	5,366
ძირითადი საშუალების შეძენა / რეალიზაცია	(717,238)	(5,355)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(723,136)	(5,903)
მიღებული სესხები	139,857,434	105,178,248
სესხის გადახდა	(109,746,902)	(104,958,154)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	(42,725)	(81,858)
გადახდილი დივიდენდი	(450,000)	(2,775,272)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	29,617,807	(2,637,036)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვარს	4,188,387	7,903,152
ფული და ფულის ექვივალენტების გადაფასება	(251,439)	(359,329)
წმინდა ზრდა / (შემცირება)	(1,443,503)	(3,355,436)
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის	2,493,445	4,188,387

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ლევან ლანდია

დენის ბოსიკოვი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გდგ“-ს მენეჯმენტს.

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გდგ“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს სტანდარტები“).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2023 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 27 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან

ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის აქციონერებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

27 სექტემბერი 2024

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე (SARAS-A-129107)

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	11	226,152	301,536
ძირითადი საშუალებები	12	720,385	11,006
არამატერიალური აქტივები		5,335	6,094
სულ გრძელვადიანი აქტივები		951,872	318,636
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	2,493,445	4,188,387
მარაგები	14	50,729,978	24,818,905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	25,678,123	10,208,258
სხვა აქტივები		54,312	32,184
საგადასახადო აქტივი	16	251,423	74,202
სულ მიმდინარე აქტივები		79,207,281	39,321,936
სულ აქტივები		80,159,153	39,640,572
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		11,445,030	6,122,400
სულ კაპიტალი		11,446,030	6,123,400
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	18	27,941,080	17,428,904
საიჯარო ვალდებულება	19	137,963	205,021
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,079,043	17,633,925
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	18	21,430,001	-
საიჯარო ვალდებულება	19	74,838	68,720
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	19,129,241	15,814,527
სულ მიმდინარე ვალდებულებები		40,634,080	15,883,247
სულ ვალდებულებები		68,713,123	33,517,172
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		80,159,153	39,640,572

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	3	117,544,121	102,047,002
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	4	(104,139,373)	(97,282,517)
საერთო მოგება		13,404,748	4,764,485
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	5	(8,064,828)	(3,354,441)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,324,428)	(1,419,954)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		(20,702)	(17,384)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		3,994,790	(27,294)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	7	4,840,448	2,289,384
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	9	(877,493)	907,161
ფინანსური ხარჯები, წმინდა	8	(2,185,115)	(1,381,814)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		5,772,630	1,787,437
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(608)
წლის მოგება		5,772,630	1,786,829
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,772,630	1,786,829

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000	7,110,843	7,111,843
წლის მოგება	-	1,786,829	1,786,829
განაწილებული დივიდენდი	-	(2,775,272)	(2,775,272)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000	6,122,400	6,123,400
წლის მოგება	-	5,772,630	5,772,630
განაწილებული დივიდენდი	-	(450,000)	(450,000)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000	11,445,030	11,446,030

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება / (ზარალი)	5,772,630	1,787,437
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	89,900	89,175
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	20,702	17,384
საპროცენტო ხარჯები	2,160,907	1,381,814
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებაზე	24,208	-
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	877,493	(907,161)
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:		
ცვლილებები მარაგებში	(25,911,073)	(6,619,612)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	(15,342,024)	837,726
ცვლილებებისაკონტრაქტო და სხვა აქტივებში	(22,021)	(33,191)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში	3,095,079	3,207,496
ცვლილებები გადასახადებში	(177,221)	16,143
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(29,411,419)	(222,789)
გადახდილი პროცენტი	(902,547)	(489,100)
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე	(24,208)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(608)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(30,338,174)	(712,497)
არამატერიალური საშუალების შეძენა	(5,898)	(5,914)
მიღებული პროცენტები	-	5,366
ძირითადი საშუალების შეძენა / რეალიზაცია	(717,238)	(5,355)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(723,136)	(5,903)
მიღებული სესხები	139,857,434	105,178,248
სესხის გადახდა	(109,746,902)	(104,958,154)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	(42,725)	(81,858)
გადახდილი დივიდენდი	(450,000)	(2,775,272)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	29,617,807	(2,637,036)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვარს	4,188,387	7,903,152
ფული და ფულის ექვივალენტების გადაფასება	(251,439)	(359,329)
წმინდა ზრდა / (შემცირება)	(1,443,503)	(3,355,436)
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის	2,493,445	4,188,387

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „გდგ“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406058215 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2011 წლის 16 ნოემბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის გიორგი მდივანის ქუჩა N3ა, სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	საკუთრება, % 31 დეკემბერი 2023	საკუთრება, % 31 დეკემბერი 2022
შპს მანდალორ ინტერნეიშენალ	-	85%
შპს არევაკო ინვესტმენტს ლიმიტედ	85%	-
ციალა დარჩიაშვილი	10%	10%
მაია ბიწკინაშვილი	5%	5%

შპს არევაკო ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის 100%-იანი წილის მფლობელი და კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი არის ციალა დარჩიაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის თანამშრომლების რიცხვი შეადგენდა 51 (2022: 61 თანამშრომელს).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს სტანდარტები”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს,

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ტრანსფერები კომპანიის მიერ აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც მოხდა ცვლილება.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია მეთათასედეგამდე სიზუსტით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, არ იქნა მიღებული.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური

ცვლილება ფასს 16-ში – იჯარა გაყიდვით და უკუიჯარით

ეს ცვლილებები მოიცავს ფასს 16-ში გაყიდვისა და იჯარის ოპერაციების მოთხოვნებს, რათა განმარტოს, თუ როგორ აღრიცხავს ერთეული გაყიდვასა და იჯარას ტრანზაქციის თარიღის შემდეგ. გაყიდვისა და დაბრუნების ტრანზაქციები, სადაც ზოგიერთი ან ყველა საიჯარო გადახდა არის ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, დიდი ალბათობით გავლენას მოახდენს.

ცვლილება ბასს 1-ში – გრძელვადიანი ვალდებულებები შეზღუდვებით

ეს ცვლილებები განმარტავს, თუ როგორ მოქმედებს პირობები, რომლებსაც ერთეული უნდა შეასრულოს საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ვალდებულების კლასიფიკაციაზე. ცვლილებები ასევე მიზნად ისახავს საწარმოს მიერ მოცემული პირობების დაქვემდებარებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჯობესებას.

ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში - მიმწოდებლის ფინანსები

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ეს ცვლილებები მოითხოვს გამჟღავნებას, რათა გაზარდოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობა და მათი გავლენა ერთეულის ვალდებულებებზე, ფულადი სახსრების ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკზე ზემოქმედებაზე. გამჟღავნების მოთხოვნები არის IASB-ის პასუხი ინვესტორების შემფოთებაზე, რომ ზოგიერთი კომპანიის მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმება არ არის საკმარისად თვალსაჩინო, რაც ხელს უშლის ინვესტორების ანალიზს.

ცვლილებები ბასს 21-ში - შეუცვლელი ნაკლებობა

ერთეულზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ არის შეცვლილი სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა ცვალებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

2.1. სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღიარდებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ii. შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ოფისის აღჭურვილობა: 2 – 5 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები: 5 – 10 წელი;
- ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები: 3 წელი.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(ბ) აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

(გ) მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - ინდივიდუალური ფასის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხარჯი განისაზღვრება კონკრეტული პარტიის შემენის ფასის მიხედვით რომლიდანაც იქნა გასხვისებული სასაქონლო მატერიალური მარაგი. მატერიალური ფასეულობების ხარჯის განსაზღვრად კომპანია პარტიის თვითღირებულებას აკორექტირებს არაპირდაპირი ხარჯებით რომელიც ნაწილდება პროპორციულად პარტიის მთლიან რაოდენობაზე. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანაკარგები.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(დ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტარნაჟაციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

	USD	EUR
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.69	2.98
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.70	2.88
2023 წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2.63	2.84
2022 წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2.91	3.08

(ე) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ვ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

სხვაობა რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ოდენობას მფლობელის მიერ შეტანილი ან განაწილებული უნადლო აქტივებისა და შეტანილი ან განაწილებული აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია, როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

(ზ) დივიდენდები

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

(თ) სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

(ი) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

(კ) შემოსავალი

შემოსავალი აღიარებულია იმ ოდენობით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელზეც კომპანია უფლებამოსილი იქნება, საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ. მომხმარებელთან თითოეული კონტრაქტისთვის კომპანია: ადგენს ხელშეკრულებას მომხმარებელთან; განსაზღვრავს ხელშეკრულებაში შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების შეფასებას და ფულის დროის ღირებულებას; გამოყოფს გარიგების ფასს ცალკეული შესრულების ვალდებულებებზე თითოეული ცალკეული საქონლის ან მომსახურების მისაღწევად ფარდობითი ცალკეული გასაყიდი ფასის საფუძველზე; და აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესრულების თითოეული ვალდებულება შესრულდება ისე, რომ ასახულია დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემა.

(ლ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღერულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდის ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი. პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებული ღირებულება:** ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს, მოხდა თუ არა მისი ფინანსური აქტივების გაუფასურება, ობიექტური მტკიცებულების საფუძველზე, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების შემცირება მოხდა.

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალებისთვის, რომლებიც ან შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით. ზარალის რეზერვის გაზომვა დამოკიდებულია კომპანიის შეფასებაზე ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იმის მიხედვით, გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი საგრძნობლად თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხელმისაწვდომი გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დავიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	მიმდინარე	30 დღ. ნაკლები ვადაგ.	31 – 60 დღე ვადაგ.	61-90 დღე ვადაგ.	91-180 დღე ვადაგ.	180 დღეზე მეტი ვადაგ.
დარეზერვების პროცენტულობა	0,5%	2%	5%	20%	30%	100%

აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის/დაკარგვის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2.2 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებსა და შეფასებებს აკეთებს ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის.

ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელი გაყიდვების და ისტორიულ გამოცდილებებს.

3. შემოსავალი

კომპანია შემოსავალს გამოიმუშავებს ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციით:

	2023	2022
რეალიზაცია საქართველოში	80,182,573	78,243,286
რეალიზაცია საზღვარგარეთ	37,361,548	23,803,716
	117,544,121	102,047,002

2023 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი სამომხმარებლო ბაზრის ტიპისა და სხვა კატეგორიების მიხედვით განმარტებულია ქვემოთ:

	ექსპორტი	სადისტრიბუციო კომპანიები	სულ
საქონლის ან მომსახურების გადაცემის დრო დროის გარკვეულ მომენტში	37,361,548	80,182,573	117,544,121

2022 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი სამომხმარებლო ბაზრის ტიპისა და სხვა კატეგორიების მიხედვით განმარტებულია ქვემოთ:

	ექსპორტი	სადისტრიბუციო კომპანიები	სულ
საქონლის ან მომსახურების გადაცემის დრო დროის გარკვეულ მომენტში	23,803,716	78,243,286	102,047,002

საოპერაციო მოგების მარჟა 2023 წელს იყო 11%, ხოლო 2022 წელს 5%.

2023 წელს საოპერაციო მარჟის მკვეთრად ცვლილების მიზეზია, 2022 წელს საშუალოზე დაბალი მარჟა რაც განპირობებული იყო ლარის კურსის მერყეობის უარყოფითი გავლენით. გარდა ამისა მარჟის ცვლილება განპირობა ფასებისა და ასორტიმენტის ცვლილებამ. საქონლის დიდ ნაწილზე 2023 წელს გაიზარდა როგორც შესასყიდი ასევე გასაყიდი ფასები რამაც, წინა პერიოდში შეძენილ საქონელზე მარჟის გაუმჯობესება გამოიწვია.

4. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	2023	2022
რეალიზაცია საქართველოში	71,038,541	75,770,857
რეალიზაცია საზღვარგარეთ	33,100,832	21,511,660
	104,139,373	97,282,517

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს სასმელების ღირებულებას, დაზღვევის ხარჯებს, ლოჯისტიკურ ხარჯებს, გადაზიდვის ხარჯებს და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

5. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	2023	2022
რეკლამის ხარჯი	6,030,790	1,825,424
სახელფასო ხარჯი	1,047,270	917,717
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	795,252	500,698
სხვა ხარჯები	191,516	110,602
	8,064,828	3,354,441

რეკლამის ხარჯი მოიცავს მარკეტინგთან დაკავშირებულ ხარჯებს, ხოლო ხელფასის ხარჯები არის მარკეტინგული პერსონალის ხარჯები.

იმის გამო რომ კომპანიის მიერ ოპერირებად ბაზრებზე გაიზარდა კონკურენციის დონე, ასევე გაჩნდნენ კომპანები რომლებმაც ამ პერიოდში დაიწყეს ბაზარზე პარალელური იმპორტი, კომპანიამ გადაწყვიტა სარეკლამო მიმართულების გააქტიურება ბაზრის წილის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად.

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
სახელფასო ხარჯი	918,889	1,136,569
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	89,900	89,175
საკონსულტაციო ხარჯი	42,166	43,009
საბანკო ხარჯი	58,353	14,511
დაზღვევის ხარჯი	27,040	23,828
კომუნალური ხარჯი	30,035	24,230
მივლინების ხარჯი	87,169	28,262
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	70,876	60,370
	1,324,428	1,419,954

7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა

	2023	2022
მომწოდებლისგან მიღებული სარგებელი	4,847,548	2,292,845
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	1,544
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(7,100)	(5,005)

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	2023	2022
	4,840,448	2,289,384

მიმწოდებლისგან მიღებული ბონუსები გაიზარდა. გაზრდილი კონკურენციის პირობებში, კომპანიის მიერ გაზრდილი ხელფასისა და სხვა ხარჯების დასაკონპერსირებლად..

8. ფინანსური ხარჯები, წმინდა

	2023	2022
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	24,208	29,827
სესხების საპროცენტო ხარჯი	2,160,907	1,351,987
	2,185,115	1,381,814

9. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2023	2022
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	4,405,580	8,892,877
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(5,283,073)	(7,985,716)
	(877,493)	907,161

სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული მოგება/(ზარალის) დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

	2023	2022
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(5,283,073)	(7,985,716)
ფული და ფულის ექვივალენტები	(422,561)	(522,846)
დებიტორული დავალიანება	(829,777)	(2,182,931)
სხვა აქტივები	(415)	(1,368)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,182,830)	(3,406,042)
სესხები	(2,847,490)	(1,872,529)
საიჯარო ვალდებულება	-	-
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	4,405,580	8,892,877
ფული და ფულის ექვივალენტები	171,123	163,517
დებიტორული დავალიანება	978,320	960,303
სხვა აქტივები	522	361
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	963,195	2,072,179
სესხები	2,274,205	5,645,369
საიჯარო ვალდებულება	18,214	51,148
	(877,493)	907,161

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

10. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორატიული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვების მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრის საგადასახადო პერიოდიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა საანგარიშგებო თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების აღიარება არ მომხდარა. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შემოსავლის განაწილების შედეგად წარმოიქმნება, არ იქნება აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, კომპანია სარგებლობს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსით, შესაბამისად მისი ოპერაციები მათ შორის დივიდენდის გაცემა გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

11. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამატება / (გასვლა)

მოდიფიკაცია

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამატება / (გასვლა)

მოდიფიკაცია

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ოფისი	სულ
870,992	870,992
-	-
-	-
870,992	870,992
-	-
-	-
870,992	870,992

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცვეთის ხარჯი

ჩამოწერა

დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცვეთის ხარჯი

ჩამოწერა

დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(494,072)	(494,072)
(75,384)	(75,384)
-	-
(569,456)	(569,456)
(75,384)	(75,384)
-	-
(644,840)	(644,840)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა

376,920	376,920
301,536	301,536
226,152	226,152

კომპანიამ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი აშშ დოლარში სესხების აღებისთვის, რომელიც შეადგენს - 8,56%-ს.

კომპანიას აქვს ერთი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იჯარის საგანია საოფისე ფართი. იჯარის სავარაუდო ვადა არის 5 წელი, რომლის ვადა გაგრძელდა 2025 წლის ბოლომდე.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

12. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარ ი	ოფისის აღჭურვილობ ა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სულ
თვითღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	150	89,469	-	89,619
შემენა	-	6,892	-	6,892
გასვლა	(150)	(21,377)	-	(21,527)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	74,984	-	74,984
შემენა	-	8,246	708,992	717,238
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	83,230	708,992	792,222
დაგროვილი ცვეთა				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(150)	(76,649)	-	(76,799)
ცვეთის ხარჯი	-	(8,198)	-	(8,198)
გასვლისას ელიმინირებული ცვეთა	150	20,869	-	21,019
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(63,978)	-	(63,978)
ცვეთის ხარჯი	-	(6,344)	(1,515)	(7,859)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(70,322)	(1,515)	(71,837)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	12,820	-	12,820
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	11,006	-	11,006
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	12,908	707,477	720,385

კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში შეიძინა მსუბუქი ავტომობილი და მინივენნი, წარმომადგებლობითი მიზნებისთვის.

ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული სესხების უზრუნველყოფისთვის.

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	2023	2022
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	35,236	1,896,525
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	2,458,054	1,956,010
შეზღუდული ფული	-	335,584
ფული სალაროში	155	268
	2,493,445	4,188,387

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

არ არსებობს არსებითი განსხვავება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების სამართლიან ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის. ნაღდი ფული ბანკში უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში იდება მიმდინარე ანგარიშზე.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

14. მარაგები

	2023	2022
მარაგები საბაჟო საწყობში	34,435,400	13,344,182
მარაგები გზაში	16,294,578	11,474,723
	50,729,978	24,818,905

მარაგები გზაში არის სასმელები, რომელიც უკვე შეძენილია და Incoterms-ის პირობების მიხედვით ეკუთვნის სუბიექტს, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული საბაჟო საწყობებში.

შპს გდგ-სა და სს თიბისი ბანკს შორის გაფორმებული საპროცენტო ხელშეკრულების თანახმად შპს გდგ-ს მარაგები დაგირავებულია.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	24,969,998	7,328,041
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები	(346,792)	(326,090)
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	1,054,917	3,206,307
	25,678,123	10,208,258

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი 2023 წლის ბოლოს მნიშვნელოვნათაა გაზრდილი, მოთხოვნების ზრდა გამოიწვია როგორც ახალი კლიენტების დამატებამ ასევე ძველ კლიენტებზე რეალიზაციების კონცენტრაციამ სადღესასწაულო პერიოდის წინ, რაც ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. შესაბამისად რეალიზაციის გაზრდის მიზნით კომპანიამ კლიენტებს საქონელი მიაწოდა შემდგომი გადახდის პირობით. რამაც გამოიწვია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დებიტორული დავალიანების არსებითი ზრდა. ყველა აღნიშნული დებიტორული დავალიანება დაფარულ იქნა კლიენტების მიერ საანგარიშგებო თარიღის მომდევნო პერიოდში.

სავაჭრო მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის მატერიალური სხვაობა არ არის.

გადახდილი ავანსები მოიცავს მარაგების შესაძენად გადახდილ ავანსებს.

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები წარმოდგენილია ქვემოთ:

	რეზერვი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	308,706
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის აღდგენა	17,384
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	326,090
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის აღდგენა	20,702
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	346,792

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2023

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ვადაგადაცი ლების დღეები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი	სულ
თანხა	17,176,904	4,535,091	3,246,709	19	4,869	6,406	24,969,998
%	0.5%	2%	5%	20%	30%	100%	
რეზერვი	85,885	90,702	162,335	4	1,461	6,406	346,792

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2022

ვადაგადაცილები ს დღეები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი	სულ
თანხა	4,954,554	2,108,281	999	-	7,789	256,418	7,328,041
%	0.5%	2%	5%	20%	30%	100%	
რეზერვი	25,120	42,166	50	-	2,337	256,418	326,090

16. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივები 251,423 ლარის ოდენობით (2022: 74,202) წარმოადგენს მიმდინარე წინასწარ გადახდას ადგილობრივი საგადასახადო ორგანოების მიმართ.

17. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია 1,000 ლარით. მისი გადახდა მოხდა საბანკო გადახდის გზით 2011 წლის 18 ნოემბერს.

კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ:

	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შპს.მანდალორ ლიმიტედი	-	85%
შპს არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედი	85%	-
ციალა დარჩიაშვილი	10%	10%
მაია ბიწკინაშვილი	5%	5%

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

18. სესხები

	ძირი		პროცენტი		განაკვეთი	ვალუტა	აღების თარიღი	საბოლოო თარიღი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა
	2022	2023	2022	2023						
სესხი #1	12,410,132	18,613,716	2,881,074	4,016,878	8%	USD	2/28/2019	12/31/2025	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს
სესხი #2	326,784	3,410,906	446,586	554,880	7%	USD	12/20/2020	12/31/2025	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს
თიბისი ბანკი 1	-	5,378,800	-	3,067	7.85%	USD	8/6/2023	8/6/2024	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
თიბისი ბანკი 2	-	5,259,350	-	22,576	8.83%	EUR	8/6/2023	8/6/2024	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
თიბისი ბანკი 3	-	5,378,800	-	4,657	8.94%	USD	7/24/2023	7/24/2024	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
თიბისი ბანკი 4	-	2,689,400	-	1,986	8.98%	USD	10/6/2023	1/31/2024	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
თიბისი ბანკი 5	-	2,689,400	-	1,966	8.90%	USD	11/17/2023	1/31/2024	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
თიბისი ბანკი 6	-	-	1,794	-	7%	USD	12/20/2020	12/31/2025	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
სესხი #9	-	-	239	-	10%	USD	2/8/2022	12/31/2022	პერიოდულად	პერიოდულად
სესხი #10	1,351,000	1,344,700	10,866	-	9.47%	USD	12/28/2021	-	პერიოდულად	პერიოდულად
სესხი #11	-	-	430	-	NBG Rate	USD	8/29/2022	12/31/2022	პერიოდულად	პერიოდულად
სულ	14,087,915	44,765,072	3,340,989	4,606,009						

თიბისი ბანკიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შპს გდგ-ის მარაგებითა და გუდვილით.

გრძელვადიანი სესხების ზრდა გამოწვეული არის გაზრდილი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საჭიროებით. გაზრდილმა მარაგებმა და დებიტორულმა დავალიანებამ გამოიწვია სესხის ზრდა.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

19. საიჯარო ვალდებულება

	2023	2022
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	137,963	205,021
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	74,838	68,720
	212,801	273,741

საიჯარო ვალდებულებების დეტალური მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	376,920
საიჯარო გადახდები	(81,858)
მოგება/ზარალი გადაფასებიდან	(51,148)
პროცენტის დარიცხვა	29,827
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	273,741
საიჯარო გადახდები	(66,934)
მოგება/ზარალი გადაფასებიდან	(18,214)
პროცენტის დარიცხვა	24,208
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	212,801

კომპანიამ ზღვრულ სასესხო განაკვეთად გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული საშუალო სტატისტიკური ინფორმაცია, საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 8,56%.

კომპანიას აქვს ერთი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იჯარის საგანია საოფისე ფართი. იჯარის სავარაუდო ვადა არის 5 წელი.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	19,104,055	15,591,243
	19,104,055	15,591,243
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი დივიდენდი	21,375	-
მიღებული ავანსები	3,811	223,284
	19,129,241	15,814,527

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს სხვადასხვა ვალდებულებებს, რომლებიც, შესაბამისად, დაკავშირებულია ხარჯებთან, რომლებიც დარიცხული იყო, მაგრამ არ გადაიხადეს წლის ბოლოს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ითვლება შესაბამისობაში ანგარიშგების თარიღისთვის მათ სამართლიან ღირებულებასთან.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

21. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	12/31/2023	12/31/2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	2,493,445	4,188,387
დებიტორული დავალიანება	24,623,206	7,001,951
სულ ფინანსური აქტივები	27,116,651	11,190,338
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,104,055	15,591,243
საიჯარო ვალდებულებები	212,801	273,741
გრძელვადიანი სესხები	49,371,081	17,428,904
სულ ფინანსური ვალდებულებები	68,687,937	33,293,888

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

i. რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის შესახებ.

ii. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ,
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად,
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში,
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს:

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2023 წლის დასაწყისში ასევე 2023 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცდილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 4 ვადაგადაცდილების დონე, მოსალოდნელი საკრედიტო

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორზე, მის წარსულ გამოცდილებასა და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის სამომხმარებლო ფასების ინდექსზე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთსა და მშპ ზრდაზე.

ზარალის ანარიზი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით, ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის, ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

კომპანია სრულად უიმედო ვალებს ჩამოწერს მას შემდეგ, რაც მიიღებს ოფიციალურ დადასტურებას კონტრაგენტის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნები არ არის უზრუნველყოფილი.

iii. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	Less than 1 year	1 - 5 years	TOTAL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2,493,445	-	2,493,445
დებიტორული დავალიანება	24,623,206	-	24,623,206
სულ ფინანსური აქტივები	27,116,651	-	27,116,651
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,104,055	-	19,104,055
საიჯარო ვალდებულებები	74,838	137,963	212,801
გრძელვადიანი სესხები	21,430,001	27,941,080	49,371,081
სულ ფინანსური ვალდებულებები	40,608,894	28,079,043	68,687,937
ლიკვიდურობის პოზიცია	(13,492,243)	(28,079,043)	(41,571,286)

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	Less than 1 year	1 - 5 years	TOTAL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4,188,387	-	4,188,387
დებიტორული დავალიანება	7,001,951	-	7,001,951
სულ ფინანსური აქტივები	11,190,338	-	11,190,338
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,591,243	-	15,591,243
საიჯარო ვალდებულებები	68,720	205,021	273,741
გრძელვადიანი სესხები	-	17,428,904	17,428,904
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,659,963	17,633,925	33,293,888

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ლიკვიდურობის პოზიცია	(4,469,625)	(17,633,925)	(22,103,550)
-----------------------------	--------------------	---------------------	---------------------

ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის კომპანია ინარჩუნებს ფულადი რეზერვების ადეკვატურ დონეს და ახდენს სასესხო შესაძლებლობების მოძიებას, ამავდროულად, ახდენს მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების მონიტორინგს და ცდილობს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დამთხვევას.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას და ფასიანი ქაღალდების ფლობას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

2023	GEL	USD	EUR	Total
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	35,394	2,457,976	74	2,493,445
დებიტორული დავალიანება	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	35,394	2,457,976	74	2,493,445
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	-	212,801	-	212,801
გრძელვადიანი სესხები	-	44,089,156	5,281,925	49,371,081
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	44,301,957	5,281,925	49,583,882

ფინანსური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

2022	GEL	USD	EUR	Total
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,232,380	1,761,806	194,201	4,188,387
დებიტორული დავალიანება	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	2,232,380	1,761,806	194,201	4,188,387
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	-	273,741	-	273,741
გრძელვადიანი სესხები	-	17,428,904	-	17,428,904
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	17,702,645	-	17,702,645

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ექვივალენტებს შორის.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა ან/და შეცვლის მიზნით კომპანია ცვლის აქციონერებისადმი გადასახდელი დივიდენდის მოცულობას, უშვებს ახალ აქციონებს ან ვალდებულებების შემცირების მიზნით ყიდის აქტივებს.

კომპანიის კაპიტალის რისკის მართვის პოლიტიკა უცვლელია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლის შემდეგ.

22. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირად ცვალებადი კანონმდებლობით, რომელიც ხშირად ექვემდებარება ინტერპრეტაციას. სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებს შორის ხშირად არსებობს განსხვავებული ინტერპრეტაციები. ამ ფაქტორებმა შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები საქართველოში სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს ეკონომიკის განვითარებასთან და საგადასახადო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მიუხედავად, მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანია კარგად არის დაცული ასეთი რისკებისგან ასეთ გარემოში მუშაობის დიდი გამოცდილებისა და კანონმდებლობის განახლებების მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე.

23. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავე ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავე საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავე ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ნაშთები	2023	2022
ნაშთები დამფუძნებელთან და სხვა დაკავშირებულ მხარესთან გარიგებებზე:		
სესხები	22,630,594	15,291,206
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება		
ხელფასები და დანამატები	31-Dec-23 219,376	31-Dec-22 158,069

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელებს სტრუქტურა შეიცვალა, ახალი სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

	მონაწილეობა, % 2024	მონაწილეობა, % 2023
შპს ვაინეო ჰოლდინგს ლიმიტედ	85%	-
შპს არევაკო	-	85%
ინვესტმენტ ლიმიტედ	-	-
ციალა დარჩიაშვილი	10%	10%
მაია ბიჭვინაშვილი	5%	5%

შპს. „გდგ“

მმართველობის ანგარიშგება

ორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „გდგ“ (შემდგომში კომპანია) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომრით: 406058215, იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2011 წლის 16 ნოემბერს. კომპანია დაარსდა როგორც სპეციალური სავაჭრო კომპანია სსკ 24¹ მუხლის შესაბამისად და აქვს მინიჭებული სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი. კომპანია მიზნად ისახავს ალკოჰოლური სასმელების საბითუმო დისტრიბუციას როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

კომპანია დაკავებულია სხვადასხვა მომწოდებლების ფართო სპექტრის პროდუქციის რე-ექსპორტით და დისტრიბუციით. კომპანია განუბაჟებელ საქონელს ინახავს რამდენიმე საბაჟო საწყობებში საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიას აქვს დაგვროვილი მრავალწლიანი გამოცდილება და წარმოადგენს პრემიუმის კლასის სპირტიანი სასმელების რე-ექსპორტის ბიზნესში წამყვან კომპანიას საქართველოში. 2023 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა - 117,544,121 ლარი (2022 წელს - 102,047,002 ლარი). წმინდა ამონაგები 2023 წელს შეადგენდა 11.4% (2022 წელს 4.67%) კომპანიაში დასაქმებულია 51 ადამიანი.

კომპანიის სტრატეგია არის:

- თითოეულ კატეგორიაში, რომელშიც კომპანია ოპერირებს წამყვანი პოზიციების შექმნა და შენარჩუნება;
- მუდმივი ბენეფიციარი და ეფექტურობის გაუმჯობესება თითოეულ ბიზნეს ერთეულში;
- პორტფელის ყურადღებით გაფართოება, რათა უზრუნველყოს ზრდის ახალი ჰორიზონტები;
- დასაქმებულთათვის სათანადო რესურსების გამოყოფა მათი პროფესიული წინსვლისა და განვითარების, ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა რომელიც ხელს უწყობს თანამშრომელთათვის დისციპლინისა და გუნდურ მუშაობას;
- სავაჭრო პარტნიორების განვითარების ხელშეწყობა;

კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები:

- 1) 2022 - 2023 წლებში კომპანია აქტიურად მუშაობდა პორტფელისა და ბაზრის განვითარებაზე, რის შედეგადაც კომპანიამ 2023 წელს დაიმატა რამდენიმე ახალი ბრენდი და ახალი კლიენტი. გარდა ამისა, 2024 წელს კომპანია ელოდება პორტფელის მეტად გაფართოებას და ახალი კლიენტების დამატებას ისეთ ბაზრებზე რომლებზეც წინა პერიოდში კომპანია ოპერირებას არ აწარმოებდა, მათ შორის: უზბეკეთის და მონღოლეთის ბაზრები.

მოცემული განვითარების გეგმა გრძელვადიან პერიოდში კომპანიას საშუალებას მისცემს, მოახდინოს შემოსავლის დივერსიფიკაცია და გაზარდოს კლიენტებისთვის შესათავაზებელი ასორტიმენტი.

2. ორგანიზაციის ფილიალების შესახებ ინფორმაცია

კომპანიას არა აქვს იურიდიული ფილიალები, ერთადერთი ოფისი მდებარეობს თბილისში. ქვემოთ იხილავთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს სადაც ოპერირებს კომპანია:

1. საქართველო ;
2. აზერბაიჯანი ;
3. სომხეთი ;
4. ყირგიზეთი ;
5. ბელორუსია ;
6. თურქმენეთი ;
7. ტაჯიკეთი ;

3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი არის შემდეგი:

		2023	2022
1	შემოსავალი	117,544,121	102,047,002
2	საერთო მოგება	13,404,748	4,764,485
3	წმინდა მოგება/ზარალი	5,772,630	1,786,829
4	მარჟა	11.40%	4.67%
5	მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0

2023 წელს გაიზარდა როგორც კომპანიის შემოსავლები ასევე საოპერაციო მარჟა. მარჟის ზრდას კომპანიამ მიაღწია პროდუქტების და კლიენტების რაოდენობის ზრდით. ასევე აღსანიშნავია რომ 2022 წლისგან განსხვავებით, 2023 წელს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობას დადებითი ეფექტი ჰქონდა საოპერაციო მარჟაზე. 2022 წელს საპირისპირო მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, რა პერიოდშიც კომპანიას საშუალოზე დაბალი მარჟა ჰქონდა. 2022 წელს საშუალოზე დაბალი მარჟის ძირითადი მიზეზს წარმოადგენდა ლარის კურსის მერყეობა და მსგავსი რყევების გავლენა სასაქონლო მარაგების თვითღირებულებაზე. მარჟის ცვლილებაზე გავლენა ასევე მოახდინა, ცალკეულ პორტფელებზე როგორც შესასყიდი ასევე გასყიდი ფასების ზრდამ.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლის ანალიზი არის შემდგომი :

		2023	2022
1	პროდუქციის პორტფელის რაოდენობა	27	19
2	თანამშრომელთა რაოდენობა	51	61
3	აქტიური კლიენტების რაოდენობა	12	11

4. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები.

2023 წელს კომპანიის 85% ფლობდა კომპანია შპს. „არევაკო ინვესტმენტს ლიმიტედი“-ი, 5% მაია ბიჭვინაშვილი და 10% ციალა დარჩიაშვილი.

5. ორგანიზაციის: საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულის მოძრაობის რისკები და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.

კომპანიის გაყიდვების უმრავლესობა საკრედიტო პირობებით ხორციელდება. არსებობს რამდენიმე გამორჩეული და დასაშვები დებიტორული დავალიანება.

ძირითადად მომწოდებლებთან საკრედიტო პირობები მერყეობს 0-დან 120-მდე დღის შუალედში, მაგრამ მომწოდებლების ნაწილთან მოქმედებს წინასწარ გადახდის პირობა. მარაგების საშუალო რაოდენობა 98,925 და 57,534 ყუთი იყო 2023 და 2022 წლებში შესაბამისად. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio) იყო 1.94 და 2.47.99 შესაბამისად 2023 და 2022 წელს.

8. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შეაბამისად

ძირითადი რისკები და გაურკვევლობა დაკავშირებულია შემდგომთან :

რისკის და გაურკვევლობის განმარტება

მენეჯმენტის პასუხი

პოლიტიკური რისკი. რისკს ახასიათებს არასტაბილური პოლიტიკური გარემო სხვადასხვა გეოპოლიტიკურ სივრცეებში შესაძლოა უარყოფითად აისახოს პროდუქციის მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების პროგნოზირება და მოახდინოს საჭირო და ადეკვატური ცვლილებები.
ფინანსური სტაბილურობის შემცირების რისკი (ან ფინანსური განვითარების დისბალანსის რისკი). რისკი წარმოიქმნება კაპიტალის სტრუქტურის არასრულყოფილებით (გამოყენებული ნასესხები სახსრების გადაჭარბებული წილით), რაც ქმნის დისბალანსს საწარმოს დადებით და უარყოფით ფულადი ნაკადებში, მოცულობის თვალსაზრისით.	მიუხედავად იმისა რომ კომპანიას სასაქონლო მარაგის შესაქმნელად პერიოდულად ესაჭიროება ფულადი სახსრების მოზიდვა, კომპანიის ამონაგები მაქსიმალურად მიმართულია სასახო ვალდებულებების დასაფარად. მოზიდული რესურსით კომპანიის მიერ ძირითადად ფინანსდება საბრუნავი კაპიტალი რაც კომპანიას აძლევს მოქნილობის საშუალებას, ეფექტურად მართოს ფინანსური რისკები.
გადახდისუნარიანობის რისკი. რისკი წარმოიქმნება მიმდინარე აქტივების ლიკვიდობის დონის შემცირებით, რაც დროთა განმავლობაში ქმნის დისბალანსს საწარმოს დადებით და უარყოფით ფულადი ნაკადებში	კომპანიის აქტივების სტრუქტურაში ძირითადი წილი უჭირავს ლიკვიდურ და საბრუნავ აქტივებს, რომელიც მოიცავს გასაყიდ სასაქონლო მატერიალურ მარაგს და მოთხოვნებს მყიდველების მიმართ. ამის გათვალისწინებით კომპანია სტაბილურად ინარჩუნებს გადახდისუნარიანობას.
საინვესტიციო რისკი. რისკს ახასიათებს საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში ფინანსური ზარალის შესაძლებლობას.	კომპანიის საინვესტიციო რისკი საკმაოდ დაბალია ვინაიდან კომპანია არ ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას (გარდა ძირითადი საშუალებების უმნიშვნელო შეძენის).
ინფლაციის რისკი. რისკს ახასიათებს კაპიტალის რეალური ღირებულების ამორტიზაციის შესაძლებლობა (საწარმოს ფინანსური აქტივების სახით), ისევე როგორც ფინანსური გარიგებებიდან მოსალოდნელი შემოსავალი ინფლაციის ჭრილში.	ვინაიდან თანამედროვე პირობებში ამ ტიპის რისკი მუდმივია და თან ახლავს საწარმოს თითქმის ყველა ფინანსურ გარიგებას, მას მუდმივი ყურადღება ექცევა ფინანსური მენეჯმენტის მხრიდან. კომპანიას, როგორც შესასყიდი ასევე გასაყიდი ფასები არის დადგენილი უხვოვურ ვალუტაში, შესაბამისად

	ეროვნული ვალუტის ინფლაციის პირობებში, კომპანია დაცული იქნება მსგავსი რისკებისგან.
საპროცენტო განაკვეთის რისკი. რისკი მოიცავს საფინანსო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელ ცვლილებას (როგორც დეპოზიტს, ასევე კრედიტს). რისკის მიზეზი (თუ ჩვენ თავიდანვე გავითვალისწინებთ ინფლაციის კომპონენტს) არის სახელმწიფო რეგულირების გავლენის გამო ფინანსურ ბაზარზე პირობების შეცვლა, უფასო ფულადი რესურსების მიწოდების ზრდა ან შემცირება და სხვა ფაქტორები.	საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკის ალბათობა დაბალია ვინაიდან კომპანიას გააჩნია საკრედიტო ურთიერთობები როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ფინანსურ და არაფინანსურ ინსტიტუტებთან.
სავალუტო რისკი. რისკი თანდაყოლილია იმ საწარმოებში, რომლებიც ეწევიან საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას (საქონლის იმპორტი და ექსპორტი).	კომპანიის შემოსავლები ძირითადად არის ვალუტაში რაც ზრდის კომპანიის რეზისტენტობას სავალუტო რისკების მიმართ. გარდა ამისა, კომპანია მუდმივად ცდილობს ვალუტაში ნომინირებული საკრედიტო რისკების მართვას საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაციისა და საკრედიტო დავალიანებების შემცირების კუთხით.
ანაზრის რისკი. რისკი ასახავს დეპოზიტების დაბრუნების შესაძლებლობას (ანაზრის სერტიფიკატების არ დაფარვას).	კომპანიას არ გააჩნია ანაზრები და დეპოზიტებზე განთავსებული სახსრები.
საკრედიტო რისკი. რისკი არსებობს იმ საწარმოების საქმიანობაში რომლები მომხმარებლებისთვის გასცემენ სასაქონლო კრედიტს. საწარმოს მიერ კრედიტით გაცემული საქონელის გადაუხდელობის ან არა დროული გადახდის გამო, აგრეთვე გადაუხდელი ვალის გადაფასების და სავარაუდო ბიუჯეტის გადამეტება.	კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მყიდველებზე ლიმიტების და გადახდის პირობების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა წყაროების ინფორმაცია. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.
საგადასახადო რისკი. რისკს აქვს მრავალი გამოვლინება: ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული ასპექტების განსახორციელებლად ახალი ტიპის გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების ალბათობა; არსებული გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების დონის გაზრდის შესაძლებლობა; ინდივიდუალური საგადასახადო გადასახდელების შესრულების პირობებისა და პირობების შეცვლა; საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის სფეროში არსებული საგადასახადო შეღავათების გაუქმების ალბათობა.	კომპანია არის „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ წევრი, რაც ხელს უწყობს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებულ საგადასახადო კანონპროექტების განხილვას და შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურებთან დიალოგის წარმოებას
სტრუქტურული რისკი. რისკი წარმოიქმნება საწარმოს მიმდინარე ხარჯების არაეფექტური დაფინანსებით, რაც იწვევს მათი ჯამური ოდენობის ფიქსირებული ხარჯების დიდ ნაწილს.	კომპანიის მენეჯმენტი ისევე როგორც კომპანიის დირექტორი, ჩართულია როგორც კომპანიის ადმინისტრაციის ეფექტიანობის შეფასების პროცესში ყოველთვიურად, ასევე ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის ანალიზის და შეფასების პროცესებში.

კრიმინოგენური რისკი. რისკი ვლინდება დასაქმებული თანამშრომლების ან მესამე მხარის მიერ ფულადი და სხვა აქტივების მითვისებით და დოკუმენტების გაყალბებით.	კომპანიაში თაღლითობის რისკი დაბალია გამომდინარე კომპანიის ადმინისტრაციის ზომისა და ტრანზაქციების რაოდენობის სიმცირიდან. კომპანიის მენეჯმენტს აქვს შესაძლებლობა უშუალოდ გააკონტროლოს მომსახურებასთან და საქონელთან დაკავშირებული კომპანიის ხარჯები და შემოსავლები, ასევე განყოფილებების მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობა.
სხვა სახის რისკები. რისკები რომლების აღბათობა და შეფასება შეუძლებელია და მოიცავს ბუნებრივი კატასტროფის რისკებს და სხვა მსგავს "ფორსმაჟორულ რისკებს"	სხვა სახის რისკების ჯგუფში კომპანიის მენეჯმენტს მიჩნეული აქვს საწყობში განთავსებული და ტრანსპორტირების პროცესში მყოფი საქონლის დაზიანება, განადგურება. აღნიშნული რისკის არიდების მიზნით კომპანიის როგორც გზაში მყოფი ასევე საწყობში განთავსებული სასაქონლო მარაგი დაზღვეულია.

დირექტორი

ლევან ლანდია

კრიმინოგენური რისკი. რისკი ვლინდება დასაქმებული თანამშრომლების ან მესამე მხარის მიერ ფულადი და სხვა აქტივების მითვისებით და დოკუმენტების გაყალბებით.	კომპანიაში თაღლითობის რისკი დაბალია გამომდინარე კომპანიის ადმინისტრაციის ზომისა და ტრანზაქციების რაოდენობის სიმცირიდან. კომპანიის მენეჯმენტს აქვს შესაძლებლობა უშუალოდ გააკონტროლოს მომსახურებასთან და საქონელთან დაკავშირებული კომპანიის ხარჯები და შემოსავლები, ასევე განყოფილებების მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობა.
სხვა სახის რისკები. რისკები რომლების ალბათობა და შეფასება შეუძლებელია და მოიცავს ბუნებრივი კატასტროფის რისკებს და სხვა მსგავს "ფორსმაჟორულ რისკებს"	სხვა სახის რისკების ჯგუფში კომპანიის მენეჯმენტს მიჩნეული აქვს საწყობში განთავსებული და ტრანსპორტირების პროცესში მყოფი საქონლის დაზიანება, განადგურება. აღნიშნული რისკის არიდების მიზნით კომპანიის როგორც გზაში მყოფი ასევე საწყობში განთავსებული სასაქონლო მარაგი დაზღვეულია.

დირექტორი

ლევან ლანდია



RSM

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „გდგ“ მენეჯმენტს.

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელება რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

27 სექტემბერი, 2024

შპს არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia